ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკა და მასზე მოქმედი ნეგატიური ფაქტორები

ხათუნა კურტანიძე
სტუ-ს დოქტორანტი

ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკის მიზანია შექმნას დარგში ჩარჩო პირობები და მოახდინოს გარკვეული ფორმირება გასატარებელ ღონისძიებებსა და საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემას შორის. ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკა მიმართულია ეფექტიანად მართოს ტურიზმის წესრიგის „ჩარჩო პირობა" და მოახდინოს მასზე მეთვალყურეობა. ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკის გატარებაში უმთავრესი როლი ეკუთვნის ტურიზმის პოლიტიკის გამტარებლებს და ინსტრუმენტებს. ზოგადად ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები არიან სახელმწიფო პირები და დაწესებულებები (პარლამენტი), რომლებიც საზოგადოების (ამომრჩევლების) მიერ არიან ლეგიტიმირებულები. ისინი მათთვის მინიჭებული კომპეტენციის საფუძველზე, პასუხისმგებელნი არიან მიიღონ ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებები. ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს ამ გადაწყვეტილებათა დასამკვიდრებლად ერთ დროულად ლეგიტიმური ძალაუფლება აქვთ.

გამომდინარე აქედან ტურიზმის პოლიტიკის გამტარებლებად გვევლინებიან

1. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
2. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
5. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
6. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
7. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

ტურიზმის პოლიტიკის ინსტრუმენტებია ის გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივი რეკრეაციული რესურსების მოხმარებასთან და მართვასთან. ტურისტული პოლიტიკის რეალიზაცია ერთის მხრივ უკავშირდება ეკონომიკურ განვითარებას, მეორე მხრივ ბუნების დაცვას, მდგრად მოხმარებას და ტურიზმის განვითარებას. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულნი არიან ზემოაღნიშნული უწყებები.

XXI საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიო ეკონომიკაში ტურიზმი ერთერთ პრიორიტეტულ, მდგრად განვითარების დარგად ჩამოყალიბდა, რამაც წარმოაჩინა გლობალურ ეკონომიკაში მისი ადგილი. ტურიზმის განვითარება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვისაც, რომელსაც ამ დარგის განვითარებისათვის საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი ბუნებრივ რეკრიაციული პოტენციალი გააჩნია. ტურიზმმა ჩვენს ქვეყანაში თავისი ღირსეული, პრიორიტეტული ადგილი უნდა დაიკავოს. ტურიზმის, როგორც ეროვნული ეკონომიკის ერთერთი სპეციფიკური დარგის განვითარება ხელაღებით არ შეიძლება. საჭიროა ტურიზმის მეცნიერული მეთოდებით შესწავლა, სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავება. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციებში მითითებულია რომ სახელმწიფომ უნდა შეასრულოს წამყვანი როლი ტურისტული პოლიტიკის განსაზღვრაში. ტურიზმის განვითარების პოლიტიკაში თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპექტები. ამ მიმართებით ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა დაარეგულიროს დარგის განვითარების პროცესები, რათა არ მოხდეს მისი სტიქიური განვითარება

მდგრადი განვითარების კონცეფციის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ის რომ უპირველეს ყოვლისა ქვეყანაში ხელი შეეწყოს ტურიზმის განვითარებას, კონკრეტულად ტურიზმის იმ სახეობების განვითარებას, რომელთა ბაზას ადგილობრივი მოსახლეობა წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში საზოგადოება უკეთესად აღიქვამს ამ მოვლენას და აქვთ შესაძლე-

ბლობა მიიღოს მაქსიმალური მოგება. სახელმწიფომ უნდა მოახდინის ისტორიულმემკვიდრეობითი და კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნება და დაცვა. თუკი ეს რესურსები ნადგურდება ან უარესდება ტურზმი ვერ იქნება წარმატებული, ხოლო სწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ტურიზმს აქვს საშუალება თვითონ გაუკეთოს სუბსიდირება ისტორიულმემკვიდრეობითი და კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნებას. უნდა მოხდეს ტურიზმის კანონმდებლობის ევროპულთან დაახლოება და ჰარმონიზაცია, რაც, თავის მხრივ, მოიცავს როგორც ზოგად კანონებს, ასევე ასობით კანონქვემდებარე აქტს, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს ტურიზმის სფეროში და ხელს უწყობენ სტანდარტების შესრულებას; ტურისტული მომსახურების სფეროში ლიცენზირებისა და სერტიფიცირების ნორმატიული ნორმების დახვეწასა და მკაცრად დაცვას; უცხოელი პოტენციური ინვესტორებისათვის მიმზიდველი საინვესტიციო პროექტების შედგენასა და საერთაშორისო საივესტიციო ღონისძიებებზე გატანას, ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის სფეროში დასაქმებული მეწარმეების რეალური და ქმედითი დახმარების გაწევას; კვალიფიციური და ინტელექტუალური კადრების მოზიდვას, რეგიონული ტურიზმის პრიორიტეტულობის დადგენასა და მისი განვითარებისათვის აქტიურ ხელშეწყობას. ამასთან უნდა მოხდეს ტურისტული ობიექტების გადასახადებისაგან რამდენიმე წლით გათავისუფლება და ტურისტული ობიექტის მშენებლობის დროს დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლება.

საქართველოს საკმაოდ დიდი და მიმზიდველი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ამიტომ, ტურიზმისა და კურორტების განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია არსებული ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურის აღდგენა, მოდერნიზაცია და ახალი, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი ობიექტების მშენებლობა, რადგანაც ამჟამად არსებული ტურისტული და საკურორტო ობიექტების უმრავლესობა საბჭოთა პერიოდშია აშენებული და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს მნიშვნელოვნად არ შეესაბამება.

საქართველოში ტურიზმი, როგორც ერთერთი პრიორიტეტული დარგი, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობის საფუძველზე უნდა განვითარდეს. მათ ერთობლივად უნდა დაგეგმონ და განახორციელონ ინვესტიციები ამ სფეროში. ამისათვის საჭიროა სახელმწიფომ შექმნას სახელმწიფოებრივსამართლებრივი გარანტიები ინვესტიციების მოსაზიდად. (საგადასახადო შეღავათები ან სუბსიდიები). საქართველოში აქრტიურად მიმდინარეობს მუშაობა თანამედროვე სასტუმროთა ქსელის შექმნის, ტურისტული ინდუსტრიის, ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურის აღდგენაგანვითარებისათვის, უცხოური, გრძელვადიანი და შეღავათიანი კრედიტების მოზიდვისათვის.

ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში დიდ მნიშვნელობა ენიჭება პრივატიზაციას. გარდამავალი პერიოდის ძირითადი მიზანია ეკონომიკის სტაბილიზაცია და მისი შემდგომი აღმავლობისათვის სათანადო პირობების შექმნა. სწორედ ამიტომ, ის რეფორმები, რომლებიც საქართველოში უკანასკნელ წლებში განხორციელდა, განსაკუთრებით კი საკუთრებითი ურთიერთობების ცვლილების თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გადასაწყვეტი. უპირველესად მოსაგვარებელია უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების მოსაზიდად უპირატესი ხელშეწყობის საკანონმდებლო გარემოს შექმნა.

ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრის დროს საჭიროა დარგის წინაშე არსებული პრობლემებისა და იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც ტურისტული ბაზრის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს.

საქართველოში ტურიზმის განვითარებაზე მრავალმა გარემოებამ მეტად ნეგატიური გავლენა იქონია. კერძოდ: აფხაზეთიდან და ყოფილი სამხრეთი ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების მნიშვნელოვანი ნაწილი განაწილებული იქნა სასტუმროებში, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, რამაც სტუმართა განთავსების მატერიალურ ტექნიკური ბაზა მნიშვნელოვნად შეამცირა; გასული საუკუნის 90იან წლებში საომარი მოქმედებების შედეგად ჩვენი ქვეყნის მრავალი კურორტი დაინგრა და სასტუმრო გაიძარცვა; წლების განმავლობაში გაგრძელებული ქვეყნის საბიუჯეტო საფინანსო კრიზისი, რომელიც დარგის მატერიალურტექნიკური ბაზის აღდგენისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განსავითარებლად და მარკეტინგული კვლევის ჩასატარებლად საჭირო ფინანსების გამოყოფის საშუალებას არ იძლეოდა; ეროვნული ეკონომიკის განვითარების არასტაბილურობამ, მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრმა შემცირებამ, არა-

სტაბილურმა პოლიტიკურეკონომიკურმა გარემომ, უმუშევრობის ზრდამ და სხვა მრავალმა სოციალურეკონომიკურმა ფაქტორმა ქვეყნის ტურისტული პოტენციალის განვითარებასა და შემდგომ გაძლიერებაზე ძალზე უარყოფითი გავლენა იქონია; კავკასიის რეგიონის არასტაბილურობა მოგზაურობის დამაბრკოლებელ ფაქტორად გვევლინება ზოგადად კავკასიის რეგიონში არსებული არასტაბილური პოლიტიკური გარემო, განსაკუთრებით საქართველოსა და რუსეთის სასაზღვრო რაიონებში შექმნილი უსაფრთხოების პრობლემებია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. უკლება მ., საერთაშორისო ტურიზმი. თბ., გამომცემლობა „ბასიანი". 2009.
2. დოლიკაშვილი ლ., ჩეკურიშვილი ნ., ღვინჯილია მ., ტურიზმის ეკონომიკა. გამომცემლობა „უნივერსალი". თბ., 2009
3. ვ.შუბლაძე, საქართველო და ტურიზმი, თბ; 2004წ.
4. საქართველოს ტურიზმის განვითარების ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2001წ.

STABLE DEVELOPMENT POLICY IN TOURISM AND NEGATIVE FACTORS INFLUENCING IT

KHATUNA KURTANIDZE
Phd of GTU

The aim of the stable development policy in tourism is to develop frame conditions and form certain interrelations between the above-mentioned events and the system of social values. The policy of the stable development of tourism is aimed towards the effective management and monitoring of tourism ,,frame condition'' order. People and different means play the crucial role in conducting the tourism stable development policy: Government officials as well as institutions responsible are for making decisions through the competency granted to them and are entitled to conduct this policy in the country's economy. For the purpore of these decisions they have equal legitimate authority in this sphere.